№05/10
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"26" თებერვალი 2010 წ.
№ 190020030351360020 80

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №4

2010 წლის 22 თებერვალი
დ. ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების თანდართული წესი და გეგმის ცვლილების ცნობის ფორმა (დანართი №1 და №2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 22 ივნისის №15 დადგენილება (გაზეთი „აჭარა", 30 ივნისი 2009 წელი, №73, გვ.7).

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: რევაზ მიქელაძე

დანართი №1

„დამტკიცებულია"
ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 22 თებერვლის №4 დადგენილებით

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე მუხლის საფუძველზე.

2. წესი განსაზღვრავს ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების პროცედურებს.

მუხლი 2. ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების ძირითადი პრინციპები

1. წლიური ბიუჯეტით მხარჯავი დაწესებულებისათვის (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) გამოყოფილი ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს 2010 წელს ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების 10%-ის, ხოლო 2011 წლიდან - 5%-ის ფარგლებში (გარდა სარეზერვო ფონდის და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების გადანაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეგლის (შემდგომში - გამგებელი) ბრძანების შესაბამისად.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური (შემდგომში - საფინანსო სამსახური) უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

მუხლი 3. ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულება

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეფექტურად ხარჯვის მიზნით მხარჯავი დაწესებულება ან საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები, საფინანსო სამსახურს წარუდგენს მოთხოვნას ასიგნებების გადანაწილების თაობაზე.

2. მოთხოვნა საფინანსო სამსახურს წარედგინება წერილობითი სახით იმ საბიუჯეტო ორგანიზაციის ან მხარჯავი დაწესებულების, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს ასიგნებები, ხელმძღვანელის ხელმოწერით. წარდგენილ მოთხოვნაში, მხარჯავი დაწესებულების, ან საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოყვანილ უნდა იქნას სათანადო არგუმენტაცია და შესაბამისი დასაბუთება ასიგნებების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე. საბიუჯეტო ორგანიზაციას და მხარჯავ დაწესებულებას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა წერილის შინაარსსა და ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობაზე.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ასიგნებების გადანაწილებაზე გამგებლის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ საფინანსო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. საფინანსო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გამგებელს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და გამგებლის ბრძანების პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

5. გამგებლის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (რაც ფორმდება გამგებლის ბრძანებით), საფინანსო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო სამსახური ამზადებს გამგებლის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. გამგებლის მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

7. წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება ამ წესით გათვალისწინებული გეგმის ცვლილების ცნობით (დანართი №2). ცვლილების ცნობა დგება 2 ეგზემპლარად. გეგმის ცვლილების ცნობის პირველი ეგზემპლარი რჩება საფინანსო სამსახურში, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის მხარჯავ დაწესებულებას ან საბიუჯეტო ორგანიზაციას.

8. გეგმის ცვლილების ცნობით ასევე შესაძლებელია დაზუსტდეს სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებით გათვალისწინებული ასიგნებები. ამ შემთხვევაშიც წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

9. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდების ასიგნების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

დანართი №2
„დამტკიცებულია“
ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 22 თებერვლის №4 დადგენილებით

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის „__“ _____

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, ორგ. კოდი)

(ცვლილების საფუძველი - სამართლებრივი აქტი)

20 წლის „_____“ _____

_____

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

ორგანიზაციული კოდი	საბიუჯეტო ორგანიზაცია, პროგრამა, ღონისძიება	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური	მათ შორის: კვარტალების მიხედვით			
				I	II	III	IV
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება

2. სარეზერვო ფონდი

3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

4. დანარჩენი ცვლილებები

საფინანსო სამსახურის უფროსი:

პასუხისმგებელი შემსრულებელი: